



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 209

ქალაქი ქუთაისი 28 ოქტომბერი 2015 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია
„ქუთაისისათვის“ რეგისტრაციის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის
N14 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 35-ე მუხლის მე-14 პუნქტისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე:

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქუთაისისათვის“ თავმჯდომარე, დავით წიტიანიშვილი პირადი განცხადების თანახმად, განთავისუფლებულია ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობიდან.

/ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქუთაისისათვის“ 2015 წლის 22 ოქტომბრის სხდომის ოქმი და საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნა განკარგულების დედანს თან ერთვის/

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქუთაისისათვის“ თავმჯდომარედ არჩეულია საკრებულოს წევრი, სამსონ გუგავა.

მუხლი 2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეტანილ იქნეს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქუთაისისათვის“ რეგისტრაციის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N14 განკარგულების 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტში ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქუთაისისათვის“ თავმჯდომარედ არჩეულია საკრებულოს წევრი, სამსონ გუგავა, რომლის შრომითი გასამრჯელო განისაზღვრება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ქალაქ ქუთაისის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრამის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს 2015 წლის 1-ლი ნოემბრიდან.